

ელექტრონული და ციფრული ხელსაწყოების
დიაგნოსტიკოს-შემკვთებელი 040559
პროფესიული სტანდარტი

Thank you for trying PDF Suite

I. სფეროს ღწერა

ელექტრონული და ციფრული ხელსაწყოების დიაგნოსტიკოს-შემკვთებელის პროფესია მიეკუთვნება მომსახურების სფეროს, რომელიც ფართოდ გამოიყენება ისეთ დარგებში, როგორებიცაა: ტელევიზია, რადიომაუწყებლობა, წარმოება დაწესებულებების ვიდეო და აუდიო კონტროლი, ავიაცია, კოსმონავტიკა, მიკრობიოლოგია, სამხედრო საქმე, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაცვის სამსახურები, მანქანათმშენებლობა, მეტალურგია, ოპტიკა, მედიცინა, სოფლის მეურნეობა და ყველა ის დარგი სადაც დანერგულია ელექტრონული და ციფრული ხელსაწყოები. მოცემული პროფესიული პროგრამის მიხედვით მესამე საფეხურის ელექტრონული და ციფრული ხელსაწყოების დიაგნოსტიკოს-შემკვთებელი არის კვალიფიციური ტექნიკური პერსონალი, რომელიც მუშაობს ელექტრონული და ციფრული ხელსაწყოების შემკვთებელ სახელოსნოებსა და სერვის-ცენტრებში.

ელექტრონული და ციფრული ხელსაწყოები არის სხვადასხვა საწარმოს ტექნოლოგიური პროცესების დამაკავშირებელი რგოლი. ელექტრონული და ციფრული ხელსაწყოების დიაგნოსტიკოს შემკვთებელი არის სპეციალისტი, რომელსაც შეუძლია ელექტრონული და ციფრული ხელსაწყოების ექსპლოატაცია და რემონტი, ელექტრონული სქემების აწყობა და სტენდზე გამოცდა. დაზიანების მიზეზების აღმოსაფხვრელად გამოიყენოს სხვადასხვა მიდგომები და სათანადო მეთოდები. სრულფასოვანი დიაგნოსტიკისათვის შეუძლია გამოიყენოს სატესტო აპარატურა და პროგრამები, შესაბამისად შეარჩიოს საჭირო ინსტრუმენტები და მასალები სამუშაოების შესასრულებლად. ელექტრონული და ციფრული ხელსაწყოების დიაგნოსტიკოს-შემკვთებელი მიეკუთვნება რთული და საფრთხისშემცველ პროფესიათა რიცხვს. ამიტომ სპეციალისტებს მოეთხოვებათ მკაცრად დაიცვან უსაფრთხოების ტექნიკა. ნებისმიერმა გაუფრთხილებლობამ შეიძლება მიგვიყვანოს ადამიანის ჯანმრთელობის და ხელსაწყოების სერიოზულ დაზიანებამდე. ელექტრონული და ციფრული ხელსაწყოების დიაგნოსტიკოს-შემკვთებელს მოეთხოვება პროფესიული (განათლება, მუშაობის ჩვევები, ტექნიკური დოკუმენტაციისა და ელექტრული სქემების წაკითხვის უნარი, შეეძლოს სხვადასხვა სახის ხელსაწყოებითა და ინსტრუმენტებით სარგებლობა) და პირადი (აკურატულობა, სიფრთხილე, პასუხისმგებლობა) თვისებებს ერთობლიობა.

დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, სწრაფად ცვლად შრომის ბაზარზე, კვალიფიციურ ელექტრონული და ციფრული ხელსაწყოების დიაგნოსტიკოს-შემკვთებლის მოთხოვნა სისტემატურად იზრდება. ელექტრონული და ციფრული ხელსაწყოების დიაგნოსტიკოს-შემკვთებელი შრომის ბაზარზე ორიენტირებული პროფესიაა.

II. დასაქმების სფერო

ელექტრონული და ციფრული ხელსაწყოების დიაგნოსტიკოს-შემკვთებელი, შესაბამისი კვალიფიკაციის მიღების შემდეგ შეიძლება დასაქმდეს- სერვისცენტრებში, ტელევიზიაში, რადიომაუწყებლობაში, ავიაციაში, სამეცნიერო კვლევით და საპროექტო ორგანიზაციებში და ყველა იმ დაწესებულებაში სადაც გამოიყენება ელექტრონული და ციფრული ტექნიკა.

III. დამატებითი მოთხოვნები

პრაქტიკის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს პროფესიით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

ელექტრონული და ციფრული ხელსაწყოების დიაგნოსტიკოს-შემკვეთებლის პროფესიული განათლება არის ერთსაფეხურიანი და ხორციელდება პროფესიული განათლების მესამე საფეხურზე, შემუშავდება შესაბამისი პროფესიული პროგრამა. ელექტრონული და ციფრული ხელსაწყოების დიაგნოსტიკოს-შემკვეთების მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს, კრედიტის მინიმუმ 50% ეთმობა პრაქტიკას, ხოლო მინიმუმ 50% ეთმობა სასწავლო კომპონენტს. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება ელექტრონული და ციფრული ხელსაწყოების დიაგნოსტიკოს-შემკვეთების მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

V. ელექტრონული და ციფრული ხელსაწყოების დიაგნოსტიკოს შემკეთებელის პროფესიული საგნმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის აღმწერი

III საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>ქვეს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.</p>	<p>აქვეს ელექტრონული და ციფრული ხელსაწყოების მუშაობის პრინციპების, მათში მიმდინარე ელექტრონული პროცესების შესახებ ზოგადი ცოდნა, იცის ელექტროტექნიკის, ელექტრონიკისა და იმპულსური ტექნიკის ზოგადი საფუძვლები, ელექტრონული და ციფრული ხელსაწყოების, საკონტროლო საზომი ხელსაწყოების მოწყობილობა და მოქმედების პრინციპი, რადიოტექნიკური მასალები, მათი თვისებები და გამოყენების წესები. გაცნობიერებული აქვეს რადიოკომპონენტების დანიშნულება და მუშაობის პრინციპი, იცის მათი მუშა რეჟიმები ს განსაზღვრა, ერკვევა ელექტრონულ სქემებში. იცის ელექტრონული და ციფრული აპარატურის მონტაჟისა და დემონტაჟის პრინციპები, დიაგნოსტიკის მეთოდები, შეუძლია პროგრამატორებისა და სატესტო პროგრამების გამოყენება. გართულებული ამოცანების და დაზიანებების აღმოსაფხვრელად იცის შესასრულებელი აუცილებელი ნაბიჯების თანმიმდევრობა.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.</p>	<p>შეუძლია, ელექტრონული, ციფრული და მზომი ხელსაწყოების ექსპლოატაცია, რადიოელექტრო კომპონენტები შეცვლა, დაზიანებების ამოცნობა და საჭირო ინსტრუმენტებისა და მასალების გამოყენებით მათი აღმოფხვრა. აღნიშნული ქმედებების შესრულება შრომის უსაფრთხოების წესების დაცვით. შეუძლია ელექტრონული და ციფრული ხელსაწყოების ექსპლოატაცია და რემონტი, ელექტრონული სქემების აწყობა და სტენდზე გამოცდა. დაზიანების მიზეზების აღმოსაფხვრელად გამოიყენოს სხვადასხვა მიდგომები და სათანადო მეთოდები. სრულფასოვანი დიაგნოსტიკისათვის შეუძლია გამოიყენოს სატესტო აპარატურა და პროგრამები, შესაბამისად შეარჩიოს საჭირო ინსტრუმენტები და მასალები.</p>

დასკვნის უნარი	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.</p> <p>შეუძლია პრობლემის გადასაჭრელად გამოიყენოს მიწოდებული ინფორმაცია და ავლენს შესაბამისი სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელი დასკვნის გაკეთების უნარს.</p>	<p>ელექტრონული და ციფრული ხელსაწყოების დიაგნოსტიკებისა და შეკეთების პროცესში გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად გამოიყენოს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მოპოვებული ინფორმაცია გაანალიზოს და გააკეთოს შესაბამისი დასკვნები.</p> <p>შეუძლია ელექტრონული და ციფრული ხელსაწყოებში წარმოქმნილი პრობლემის შესახებ, მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, გააკეთოს დასკვნები და დასახოს ღონისძიებები პრობლემების გადასაჭრელად.</p>
კომუნიკაციის უნარი	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.</p> <p>პოფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე.</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ელექტრონული და ციფრული ხელსაწყოების დიაგნოსტიკებისა და შეკეთებისა და დაკავშირებით. ინგლისურენოვანი ინფორმაციის დამუშავება, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ინფორმაციის მოპოვება, ტექნიკური და ტექნოლოგიური ხასიათის სპეციფიკური ამოცანების გადასაჭრელად.</p> <p>შეუძლია თანამშრომლებთან და ხელმძღვანელებთან ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების შესახებ ინფორმაციის გაცვლა, ასევე ტექნიკური საკითხებისა და პრობლემების მოგვარების მიზნით ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია; აპარატურისა და ხელსაწყოების ინსტრუქციების ინგლისურ ენაზე წაკითხვა/ლექსიკონის გამოყენებით/საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება პროფესიული მიზნებისთვის და მარტივი კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე.</p>
სწავლის უნარი	<p>შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება</p>	<p>შეუძლია, პროფესიული საქმიანობის სრულყოფის მიზნით, ელექტრონული და ციფრული ხელსაწყოების დიაგნოსტიკებისა და შეკეთების სპეციალობაში ახალი ტექნოლოგიების ათვისება, ცოდნის ხარისხის ამაღლება და სასურველი პროფესიული დონის მიღწევა, შესაბამისი ლიტერატურისა და თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით., ასევე სათანადო ინსტრუქციების გამოყენებითა და კოლეგების მუშაობაზე დაკვირვებით. ელექტრონული და ციფრული ხელსაწყოების, დამცავი და მზომი ხელსაწყოების ფუნქციონირების შესწავლა.</p>

<p>ღირებულებები</p>	<p>განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად. გათავისებული აქვს პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელი ღირებულებები და მოქმედებს მათ შესაბამისად.</p>	<p>იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს, საგანგებო რეჟიმში მუშაობისა და ავარიული სიტუაციების დროს მოქმედებს კონცენტრირებულად, პასუხისმგებლობის გრძნობით და იცავს უსაფრთხოების წესებს აცნობიერებს ელექტრონული და ციფრული ხელსაწყოების პროფესიული საქმიანობის მნიშვნელობას სხვადასხვა საწარმოს ტექნოლოგიური პროცესების წარმატებით განხორციელებისთვის, აცნობიერებს პროფესიულ ღირებულებებს ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე, მოქმედებს მათ შესაბამისად.</p>
---------------------	--	---